სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №141

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 11 სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხვრივ, შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ბადრი პაქსაძის სახით და მეორეს მხვრივ, ი.მ. ზურაბ ვარშანიძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის 6^1 პუნქტის საფუძველზე, გამარტივებულის შესყიდვების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: "შემსყიდველი ორგანიზაციის" კუთვნილ „ჰიუნდაი"-ს მარკის ავტომანქანაზე სახელმწიფო ნომრით TTS-279 გენერატორის მონტაჟი ძრავის ბლოკზე და „ფორდტრანზიტი"-ს მარკის ავტომანქანაზე სახელმწიფო ნომრით BBR-458 საბჯენი დისკის (უპორნი დისკი) მორგვის პრესით ელექტრო შედუღებით გამოთავისუფლება და მონტაჟი.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 50100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 490 (ოთხასოთხმოცდაათი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლისა და მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა) მიწოდებიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. მიწოდების ადგილი, ვადა და გარანტია

6.1.მომსახურების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.
6.2 მომსახურების ვადად განისაზღვროს შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) დღე.
6.3 მომსახურების საგარანტიო პერიოდად განისაზღვროს არანაკლებ 3 თვე.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელ
ია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.
8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
	ქ. ბათუმი. აეროპორტის გზატკეცილი N129
ქ.ბათუმი, პუშკინის ქ. 154 შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“	
ანგარიშის № GE92TB4457736020100006	*ანგარიშის №GE26LB0711157807247000*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490	*საიდენტიფიკაციო კოდი: 61003006245*
მიმღებისბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკის“-ს ბათუმისფილიალი.	*მიმღების ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“*
ბანკისკოდი: TBCBGE22	*ბანკის კოდი: LBRTGE22*
დირექტორის მ/შ ბადრი პაქსაძე	ი.მ. ზურაბ ვარშანიძე